ქართულ მჟღერ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმის თავისებურებები
Peculiarities of Pronunciation of Georgian Voiced Plosive Consonants

ივანე ლეჟავა
Ivane Lezhava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აკუსტიკური ანალიზი; ხშული; მჟღერობა; ფშვინვა.
Keywords: acoustic analysis; plosive; voicing; aspiration.

თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ხშულები (b, d, g) ავლენენ სრულ-მჟღერობას იმ ენებში, სადაც მჟღერი უპირისპირდება არაფშვინვიერ ყრუ თანხმოვანს, ეს ენებია – ფრანგული, ესპანური, რუსული, დანიური, უნგრული და ა.შ.; ხოლო ხშულთა ისეთ სისტემებში, სადაც არსებობს ყრუ ფშვინვიერი ხშული, თავკიდური მჟღერი თანხმოვნის ხშვის ფაზა არის დაყრუებული ან, იშვიათად, ნაწილობრივ მჟღერი.

ქართული ენის მჟღერი ხშული თანხმოვნების (ბ, დ, გ) აკუსტიკური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ თავკიდურ პოზიციაში ხშვის ფაზა შე-საძლოა ნაწილობრივ იყოს დაყრუებული ან სახმო სიმების ჟღერა იწყე-ბოდეს სკდომის მომდევნოდ. მჟღერი ხშვა უფრო დამახასიათებელია ბა-გისმიერი თანხმოვნისთვის, რაც, სახმო სიმების მოქმედების მექანიზმი-დან გამომდინარე, ბუნებრივი მოვლენაა.

ინტერვოკალურ პოზიციაში ქართული მჟღერები ინარჩუნებენ ყვე-ლა ფაზის მჟღერობას.

ქართული ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმისას შესაძლებელია ხშვის ფაზა იყოს სრულმჟღერი, სრულად ან ნაწილობრივ დაყრუებული. ამ დროს ფშვინვიერებისაგან მათი განსხვავება ვლინდება ხშვის ფაზისა და ჩქამის მცირე გრძლივობით - ბოლოკიდური (ბ, დ, გ) თანხმოვნების ხშვის ფაზა საშუალოდ 10%-ით და ჩქამის გრძლივობა და-ახლოებით ერთნახევარჯერ მოკლეა ფშვინვიერ (ფ, თ, ქ) თანხმოვნებთან შედარებით; სრულად დაყრუებული ხშვის ფაზის შემთხვევაში განსხვავე-ბა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ეს თავისებურება ადასტურებს გიორგი ახვლედიანის (1999: 357) მო-საზრებას „ყრუ mediae-ს“ ბუნების შესახებ - ბოლოკიდური თანხმოვ-ნების დაყრუების წესის თანახმად, ***Ქ*** დაყრუვდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოისპო განსხვავება ფშვინვიერობის მიხედვით ***Ქ***-სა და ***თ***-ს შორის - ის არ არის არც ***Ქ*** და არც ***თ***, არამედ წინაენისმიერი ყრუ **media**-ა.

ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ მჟღერი ხშულების წარმოთქმისას მათი მჟღერობის ხარისხი განპირობებულია არა მარტო არტიკულა-ციურ-ფიზიოლოგიური მახასიათებლებით, არამედ ხშულ თანხმოვანთა სისტემის პარადიგმატული თავისებურებებით.

ლიტერატურა

ახვლედიანი, გ. (1999). ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტე-ტის გამომცემლობა“.

In the initial position, voiced plosives (b, d, g) are fully voiced in languages in which a voiced consonant is opposed to an unaspirated voiceless consonant, these are – French, Spanish, Russian, Danish, Hungarian, etc. On the other hand, in such systems of plosives which contain a voiceless aspirated plosive, the phase of occlusion of an initial voiced consonant is voiceless or rarely partially voiced.

As a result of acoustic analysis of the Georgian voiced plosives (b-ბ, d-დ, g-გ) in initial position it becomes obvious that the phase of occlusion may be partially voiceless or voicing of the vocal cords may begin after the plosion. Voiced occlusion is more typical for the labial consonant, which is a natural phenomenon due to the mechanism of work of vocal cords.

In an intervocalic position, Georgian voiced consonants retain voicing of all phases.

In the process of pronunciation of Georgian final voiced consonants, the occlusion phase may be fully voiced, partially or fully voiceless. In this case the difference with respect to an aspirated consonants (p^h, t^h, k^h) is manifested in the short duration of occlusion phase and noise.

This peculiarity confirms the viewpoint of Giorgi Akhvlediani (1999: 357) concerning "voiceless *mediae*".

As a general conclusion it should be noted that during articulation of voiced plosives the work of vocal cords is determined not only by articulatory-physiological characteristics, but by paradigmatic peculiarities of the plosive consonants' system as well.

References

Akhvlediani, G. (1999). Zogadi fonetikis sapudzvlebi. [Fundamentals of General Phonetics]. Tbilisi: press of Sulkhan-Saba Orbeliani Pedagogical University.